საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030120317225720

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/10341 **31 / აგვისტო / 2020 წ.**

შპს ,,სამედიცინო ცენტრ ციტოს“
შპს ,,ავერსის კლინიკას“
შპს ,,ნეოლაბს“
შპს ,,ჰეპატოტლოგიურ კლინიკა ჰეპას“
სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრს“
შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსს“

როგორც მოგეხსენებათ, ,,C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა აქტიური მოზიდვისა და მკურნალობაში ჩართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 6 ნოემბრის N01-1287/ო ბრძანებით ქ. თბილისში არსებულ მიმწოდებელ დაწესებულებებს, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისა და სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, მიეცათ უფლება თავად დაწესებულების/ორგანიზაციის ბაზაზე HCV რნმ პჯრ მეთოდით რაოდენობრივი, თვისებრივი ან GeneXpert დიაგნოსტიკური პლატფორმის მეშვეობით, ან HCV core antigen მეთოდით, შემდგომი კონფირმაციული კვლევის ჩატარების მიზნით, უზრუნველყონ სისხლის ნიმუშების ტრანსპორტირება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის № 36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სტაციონარული მომსახურების (გარდა დღის სტაციონარისა) მიმწოდებელი დაწესებულებებიდან თანდართული ცხრილების შესაბამისად.

ამ ეტაპზე სამინისტროში დაფიქსირებულია რამდენიმე მომართვა არსებული დანართის ცვლილების თხოვნით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, ასევე, ფუნქციონირება დაიწყო ახალმა სამედიცინო დაწესებულებებმა, რომლებზეც არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი ლაბორატორიები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაიხედოს არსებული დანართი და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

აქედან გამომდინარე, გიგზავნით აღნიშნულ ბრძანებას შესაბამისი დანართით, ასევე, პროგრამაში დამატებული დაწესებულებების სიას და გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი ერთიანი შეჯერებული პოზიცია მის ცვლილებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე